

ენა და ენათმეცნიერება

**ინსტრუმენტალისისა და ინესივის (INESS) ერთ ელემენტში
სინკრეტიზმი ძველ ბერძნულ და კლასიკურ სირიულ ენებში
და მათი ფუნქციური გადაფარვა ქართულში: ტიპოლოგიურ-
შედარებითი ანალიზი**

დავით იობიძე

davit.iobidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI:<https://doi.org/10.52340/atsu.2026.1.27.03>

სტატიაში განხილულია ტიპოლოგიურ კვლევებში სინკრეტიზმის ერთ-ერთი საკითხი – **ინსტრუმენტალისისა** და **ინესივის** (inessive) ფუნქციური გადაკვეთა ერთ მორფოლოგიურ ერთეულში. კვლევა მოიცავს ქართული, ძველი ბერძნული და კლასიკური სირიული ენების მონაცემთა ტიპოლოგიურ ანალიზს; იგი ეფუძნება ტიპოლოგიურ და მორფოსემანტიკურ ანალიზს და აჩვენებს, რომ სირიული [be] და ბერძნული [en] ერთ ფორმალურ ელემენტში სინკრეტულად აერთიანებენ ინსტრუმენტალისისა და ინესივის ფუნქციებს, ხოლო ქართულში ისინი ფორმალურად დიფერენცირებულია **-ში** თანდებულითა და **მოქმედებითი ბრუნვით**, თუმცა გარკვეულ კონტექსტებში მათ შორის მაინც ვლინდება სემანტიკური ურთიერთჩანაცვლება. განხილული ენების მონაცემთა შეპირისპირება ცხადყოფს ინსტრუმენტალისისა და ინესივის ფუნქციური გადაკვეთის ტიპოლოგიურ რეგულარობას, რომელიც სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებში (ქართული, ძველი ბერძნული, კლასიკური სირიული) სისტემურად რეალიზდება.

საკვანძო სიტყვები: ტიპოლოგია, სინკრეტიზმი, ინსტრუმენტალისი, ინესივი, ქართული, ძველი ბერძნული, კლასიკური სირიული ენები

1. შესავალი: 1.1. თეორიული ნაწილი. ენობრივი მოვლენა, რომელიც ენათმეცნიერებაში სინკრეტიზმის სახელითაა ცნობილი, ერთ-ერთი ფართოდ განხილვადი საკითხია თანამედროვე ლინგვისტიკურ ტიპოლოგიაში. იგი ნათლად ასახავს გრამატიკული კატეგორიების სემანტიკურ ურთიერთდაკავშირებასა და ენობრივი სისტემების დინამიკურ ბუნებას. სხვადასხვა ენაში ფართოდ არის დადასტურებული შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე მორფოლოგიური ერთეული

დ. იობიძე

(მორფემა ან ბრუნვითი ფორმა) ერთდროულად ასრულებს ორ ან მეტ გრამატიკულ თუ სემანტიკურ ფუნქციას.

დენის კრეისელი თავის ტიპოლოგიურ კვლევაში მრავალრიცხოვან მაგალითებს ასახელებს, მათ შორის ნაჩვენები აქვს ძველი ქართული ენის მონაცემებიც (Creissels 2008, 5, 8). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სინკრეტიზმი ყოველთვის არ მოიცავს მთელ ბრუნვით პარადიგმას, რიგ შემთხვევებში ფუნქციური გადაფარვა მხოლოდ კონკრეტულ მორფემას ან ფორმანტს ეხება. ასეთ ვითარებაში სინკრეტიზმი ვლინდება მორფემულ დონეზე – როდესაც ერთი და იგივე ელემენტი შეიძლება ერთდროულად მონაწილეობდეს როგორც მორფოლოგიური კოდირების ფორმალურ სტრუქტურაში, ისე ფუნქციურ-სემანტიკურ დონეზე. ბრუნვითი სინკრეტიზმი ხშირად ეფუძნება არა შემთხვევით დამთხვევას, არამედ მორფოსემანტიკური ეკონომიის პრინციპს, როდესაც ერთი ფორმალური ელემენტი იტვირთება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფუნქციით.

სპეციალურ ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული ინსტრუმენტალისის სინკრეტიზმი სხვა სივრცით ბრუნვებთან, მათ შორის: აბლატივ-ინსტრუმენტალური, ერგატივ-ინსტრუმენტალური და ლოკატიურ-ინსტრუმენტალური გადაფარვები (Baerman 2009; Creissels 2008).

კრეისელი აღწერს შემთხვევებს, როდესაც ერთი მორფემა ან ელემენტი რამდენიმე ფუნქციას აერთიანებს: ავარულ ენაში **** ელემენტი ერთდროულად წარმოადგენს სქესისა და რიცხვის მარკერს და ამავე დროს მონაწილეობს სივრცითი ბრუნვის ფორმის აგებაში; კრიზულ ენაში ერგატივის სუფიქსი იდენტურია სივრცითი ბრუნვების იმ მეორე ფორმანტისა, რომელიც გამოსვლის/წყაროს მნიშვნელობას გამოხატავს. აქ ერთი და იგივე მორფემა ასრულებს როგორც სინტაქსურ (ერგატიულ), ისე სემანტიკურ-სივრცით (აბლატიურ) ფუნქციას; ბასკურ ენაში პარტიტივის მარკერი **-(r)ik** წარმოადგენს აბლატივის მარკერის **-tik** ერთ-ერთ სპეციალიზებულ ალომორფს. შესაბამისად, ერთი და იგივე მორფემული წარმოშობის ელემენტი გამოიყენება როგორც სივრცითი დაცილების, ისე ნაწილობითი (პარტიტიული) მნიშვნელობის გამოსახატად (Creissels 2008, 6, 11).

ალატიურ/ლოკატიური და ინსტრუმენტული ფუნქციების ერთ მორფემაში გაერთიანება დადასტურებულია სხვადასხვა ენაში. მაგალითად: ორია (ინდო-არიული) ენაში ინფლექსიური მორფემა **-re** ერთდროულად გამოხატავს ალატიურ/ლოკატიურ და ინსტრუმენტალურ მნიშვნელობებს; მალაგასიურ ენაში მორფემა **àmin'** სინკრეტულად აერთიანებს ინსტრუმენტალისის, კომიტატივისა და ინესივის ფუნქციებს.

ამმონაცემებზედაყრდნობითავტორებიასკვნიან,რომინსტრუმენტალური ტიპის ჩართულობა (≡) ფართოდ დასტურდება ლოკატიური ფუნქციების კოდირებისას (Franco & Manzini 2017, 16).

ინესივისა და ინსტრუმენტალისის ფუნქციების ერთ ელემენტში გაერთიანება ეფუძნება **ნაწილისა და მთელის** სემანტიკურ ლოგიკას. ინსტრუმენტი კონცეპტუალურად აღიქმება როგორც მოქმედების შიგნით არსებული ან მასში ჩართული ელემენტი, ისევე როგორც ლოკატიური შიდა სივრცე წარმოადგენს მოვლენის სემანტიკურ ჩარჩოს (Franco & Manzini 2017). ამავე ავტორს განხილული აქვს ერგატივისა და ინსტრუმენტალისის სინკრეტიზმის შემთხვევები, კერძოდ, როდესაც მოქმედების აგენტი კონცეპტუალურად გაიგივებულია მოქმედების გამომწვევთან. ამ შემთხვევაში ერგატიული სუბიექტი და ინსტრუმენტალური გარემოება ერთი და იმავე ბრუნვის ნიშნით გამოიხატება. სემანტიკურად აგენტი არის მოქმედების შემსრულებელი (ერგატივი), ან მოქმედების გამომწვევი (ინსტრუმენტალისი) (მეორე შემთხვევაში კონსტრუქცია პასიურია). აი, ავტორის მიერ ნაჩვენები ნიმუშები:

(1) *Kumauni*:

tə	wi-l	jorɛ-l	svaʈɛ-l	marə
then	he-erg	power-inst	stick-inst	beat.pst-ptcp.m.sg

‘Then he beat (her) vehemently with a stick.’

(2) *Kului*:

maʃʈar-ẽ	hətʰ-ẽ	ʃohr-u	zúk-u
teacher-erg	hand-inst	boy-m.sg	beat.pst-ptcp-m.sg

‘The teacher beat a boy with his hand.’ (Franco & Manzini 2017, 29) ←

(Stronski 2009, 247-248)

მსგავსი მოვლენაა დადასტურებული უდურში (უდიურში) – ერგატივი გადმოსცემს მოთხრობითი და მოქმედებითი (ინსტრუმენტალისის) ბრუნვების ფუნქციებს; კერძოდ, ნივთის კლასის

დ. იობიძე

სახელებში ადგილი აქვს ერგატივისა და ინსტრუმენტალის ფუნქციების სინკრეტიზმს ერთ მორფოლოგიურ ელემენტში – **-ინ** სუფიქსში. მაგალითად, შესიტყვებაში *ფ-ინ ატუკა* (თვალმა/თვალით ხედავს), **-ინ** მოქმედებს ერგატივ-მოქმედებითის (ინსტრუმენტალის) ფუნქციით (ფანჩვიძე 1974, 71; რუხაძე 2009, 47).¹

ლიეტუვურ ენაში ინსტრუმენტალის წინდებულებთან კომბინაციაში გამოიყენება ლოკაციის, დროის, მანერის, მიზეზისა და მიზნის მიმართებების გამოსახატად (Stasiūnaitė 2016, 191). სინკრეტიზმის კლასიკურ მაგალითად მიიჩნევა ინგლისური **with**, რომელიც აერთიანებს ინსტრუმენტალისა და კომიტატივის ფუნქციებს. ტიპოლოგიურად იშვიათი, მაგრამ მნიშვნელოვანი შემთხვევებია ჩინურ დიალექტებსა და ალთაურ ენებში დაფიქსირებული მონაცემები, განსაკუთრებით განსუ-ცინხაის ლინგვისტურ არეალში (GQLA), სადაც ერთი ელემენტი, რომელიც მომდინარეობს რიცხვითი სახელიდან **ორი**, ასრულებს ინსტრუმენტალისა და თანაობის მარკერის ფუნქციას (Zhou 2022, 349); ამავე ავტორს განხილული აქვს სინკრეტიზმის შემდეგი შემთხვევები: **მიცემითი და ბრალდებითი** (dative-accusative) ბრუნვების სინკრეტიზმი, რაც გამოიხატება მარკერით **-xa**; **ერგატივი და ინსტრუმენტალისი** (ergative-instrumental) ბრუნვების მარკერის იდენტურობა ამდო-ტიბეტურ ენაში; **კუთვნილებითი და თანაობითი** (possessive-comitative) ბრუნვების ფუნქციური ურთიერთკავშირი იმ მონღოლურ ენებში, რომლებიც ჩინეთის განსუ-ცინხაის რეგიონის გარეთაა გავრცელებული (Zhou 2022, 350-351, 364).

იუტო-აცტეკურ ენებში კომიტატივისა და ინსტრუმენტალის სინკრეტიზმი აღწერილი აქვს ჰაუგენს. მაგალითად, პიპილი ენაში **-wan** სუფიქსი გამოიყენება როგორც კომიტატივის, ისე ინსტრუმენტალის ფუნქციით, ხოლო ტიმბიშა შოშონეს ენაში **-ma:ten** იგივე ორმაგ ფუნქციას ასრულებს (Haugen 2008, 11, 21). ავტორი ხაზს უსვამს, რომ ამ ენებში ინსტრუმენტალი და კომიტატივი მჭიდროდ უკავშირდება პრედიკატული მფლობელობის კონცეფციას. განსაკუთრებით საყურადღებოა ჰიპოთეზა,

¹ საპირისპირო მოვლენაა დაფიქსირებული დიდოურ ენაში, კერძოდ, აქ ერგატივი და ინსტრუმენტალისი გონიერი (სულიერი) და უგონო (უსული) არსებათა მიხედვით გამიჯნულია ერთმანეთისაგან: ერგატივი მხოლოდ გონიერ არსებათა ბრუნვად რეალიზდება, ხოლო ინსტრუმენტალისი გამოიყენება უგონო არსებათათვის, რომლებიც მოქმედების იარაღს გამოხატავენ. ამიტომაც არის, რომ ადამიანის აღმნიშვნელი სახელები ერგატივში დგანან და ინსტრუმენტალისი არ მოეპოვებათ (არდოტელი 2007, 51-52).

რომლის მიხედვითაც პროტო-იუტო-აცტეკური **ti** თავდაპირველად ლოკატიური მარკერი იყო, საიდანაც მოგვიანებით განვითარდა ინსტრუმენტალური და კომიტატიური ფუნქციები (Haugen 2008, 14-15). იუტო-აცტეკური ენების ფარგლებში ინსტრუმენტალისის მარკერის წარმოშობის საკითხს განიხილავს აგრეთვე ალვარეს გონსალესი, რომელიც კაპიტური ენების (იაკი, მაიო და ტეჰუეკო) მასალაზე აჩვენებს, რომ ეს ენობრივი ფორმები კუთვნილებითი სახელური ფრაზებიდან წარმოიქმნა. ავტორს დიაქრონიული პერსპექტივიდან აქვს განხილული ინსტრუმენტალისის, კაუზატივისა და ნომინალიზატორის ფუნქციური გადაფარვა (სინკრეტიზმი) (Álvarez González 2023, 3, 10).

ინესივისა და ინსტრუმენტალისის ფუნქციური გადაკვეთის შემთხვევა დაფიქსირებულია იუკატეკური მაია ენაში, კერძოდ, ლოკატიური წინდებული **ti'** გამოიყენებოდა ინსტრუმენტალისის ფუნქციითაც (Lehmann & Shin 2005, 97).

სხვადასხვა ენების მასალა აჩვენებს, რომ ინსტრუმენტალისი და ინესივი არა ურთიერთგამომრიცხავი, არამედ კონცეპტუალურად თანხვედრი კატეგორიებია, რაც ქმნის მათი სინკრეტიზმის ტიპოლოგიურ წინაპირობას. მიცემითისა (dative) და ინსტრუმენტალისის სინკრეტიზმი, ისევე როგორც ინსტრუმენტალისისა და ინესივის ფუნქციური გადაკვეთა, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ბრუნვები ეფუძნება საერთო სემანტიკურ ბირთვს, რომელიც ფოკუსირებულია პროცესის შიდა მონაწილეებზე და მათ ურთიერთკავშირზე. ამ ტიპოლოგიური ფონზე, ინსტრუმენტალისისა და ინესივის ერთ ელემენტში სინკრეტიზმი შეიძლება შეფასდეს როგორც ბუნებრივი შედეგი კონცეპტუალური და მორფოსემანტიკური ევოლუციისა.

1.2. საკვლევი ენების ზოგიერთი ტიპოლოგიური მონაცემი. ურთიერთგანსხვავებული სტრუქტურული ნიშნების გათვალისწინებით ქართული, ბერძული და სირიული ენები² სხვადასხვა ტიპოლოგიურ

² განსახილველ ენებს აღვნიშნავთ პირობითი ნიშნებით: **K** – ქართული; **B** – ძველი ბერძნული (შემდეგში – ბერძნული); **C** – კლასიკური სირიული (შემდეგში – სირიული). აქვე დავაზუსტებთ განსახილველ ენებთან დაკავშირებულ ტერმინებს: **ქართული ენა (K)** – მხედველობაში გვაქვს ქართული ენის თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობის ენობრივი მონაცემები, რომელიც მოიცავს პერიოდს: V სკ. ქრისტეს შემდგომ – დღემდე; **ძველბერძნული ენა (B)** – მოიცავს ბერძნული ენის განვითარების საკმაოდ დიდ მონაკვეთს: XV სკ. ქრისტემდე – IV სკ. ქრისტეს შემდგომ; **კლასიკური სირიული ენა (C)** – არამეული ენის ედესური დიალექტის (აღმოსავლეთარამეული)

დ. იობიძე

კლასებში თავსდებიან. მიუხედავად ამისა, მათ შორის შეინიშნება გარკვეული ტიპოლოგიური პარალელები. აქვე დავასახელებთ რამდენიმე ენობრივ პარალელს, რომლებიც დასახელებულ სამ ენაში წარმოებული ლინგვისტური ძიებების შედეგად გამოვლინდა:

- K, B და C-ში მოქმედებს განსაზღვრულობის კატეგორია. სახელი განსაზღვრულია ემფატიკური ელემენტით (K – -ა; B – ო, ო, ო; C – ო [a]);³

- B-ში ინესივის ფუნქციის *en* წინდებულს შეუძლია გადმოსცეს ინსტრუმენტალისი. C-ში -ა წინდებულს შეუძლია გადმოსცეს ინესივიც და ინსტრუმენტალისი. K-ში *en* და -ა-ს აღნიშნული ფუნქციები გადმოიცემა ფორმალურად დიფერენცირებული მასალით, თუმცა იდენტურია ფუნქცია და სემანტიკა;

- K-ს -ზე თანდებულს C-ს *al* წინდებულთან საერთო აქვს საზედაო და მიმართებითი ფუნქციები. K-ს -ზე თანდებულს B-ს *en* წინდებულთან საერთო აქვს საზედაო და დროის აღნიშვნის ფუნქციები;

- K-ში და C-ში მოქმედებს ერთმანეთის ეკვივალენტური ელემენტები (K – მიერ; C – *men*), რომლებიც ახდენენ ფორმალურად გაუდიფერენცირებელი პასივის ფორმების სემანტიკურ დიფერენცირებას; K-ს მიერ და B-ს *en* ელემენტები ყოველთვის მოქმედებენ *genetivus auctoris*-ის კონსტრუქციაში;

- K-ში -დ ელემენტი ისტორიულად ნივთის კლასის გამომხატველი იყო (ჩიქობავა 2017, 99, 102). ნივთის კლასში გაერთიანებულ სიმრავლეთათვის დამახასიათებელი გვარობითი თვისებიდან გამომდინარე, -დ ფორმანტიანი სახელი ყოველთვის გამოხატავს: მოქმედების რაგვარობას, მოქმედების შედეგს, პასიურია, მოქმედების ქვეშაა, მოქმედების ობიექტია. იგივე -დ ელემენტი გამოხატავს მიმართულებას (ძველ ქართულში). C-ში *al* ელემენტი ყოველთვის აღნიშნავს მოქმედების ობიექტს (პირდაპირი/ირიბი) და, ასევე, მიუთითებს მიმართულებას (Акопян 2010, 60);

- K, B და C-ში დროის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე ზმნურ ფორმებში აღინიშნებოდა მოქმედების სახე, რომელიც სამივე ენაში იყო ორი:

საფუძველზე ჩამოყალიბებული კლასიკური სირული, რომელიც მოიცავს პერიოდს: II სკ. ქრისტეს შემდგომ – XIII სკ.

³ საკითხი განხილულია სტატიაში: „განსაზღვრულობის კატეგორია: ქართული -ა, სირიული ო და ბერძნული ო, ო, ო ემფატიკური ელემენტები (ტიპოლოგიური კვლევა)“, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“ მასალები, ქუთაისი, 2025. წაკითხულია მოხსენებად 2023 წელს.

განგრობითი (დიურატული) და მომენტობრივი (წერტილებრივი). K-ში ორი უბველესი ზმწური ყალიბიდან ერთ-ერთია **წამყო ბირითადი** (Aorist) (ჩიქობავა 1943, 92; ჩიქობავა 1948, 77); C-შიც ორი უბველესი ზმწური ყალიბიდან ერთ-ერთია **Aorist**. ამიტომაც არის, რომ სირიულში ამოსავალი, სალექსიკონო ერთეული არის წარსული დროის ფორმა მხოლობითი რიცხვის მამრობითი სქესის მესამე პირისა (Акопян 2010, 71);

- K-ში კწინობით-ალერსობითი სახელის ერთ-ერთი მაწარმოებელია - **უნა** (= **-უნ-ა**) ელემენტი: კაცი - კაცი-**უნა**. C-შიც კწინობით-ალერსობითი სახელის მაწარმოებელია მასალებრივად იდენტური **𐎱𐎠** [una] ელემენტი: - 𐎱𐎠𐎡𐎹 [gabhra – gabhr-**una**] კაცი - კაცი-**უნა**;

- K-ში აქტივის მიმღეობებს აწარმოებს **მ-** პრეფიქსი (-ელ, -ალ, -არ... სუფიქსებთან ერთად): **მ-ქადაგებელი**. C-ში ერთი ჯგუფის აქტივის მიმღეობებს აწარმოებს მასალებრივად იდენტური **𐎠** [m-] პრეფიქსი: 𐎠𐎡𐎹 [albesh – m-alb'sha] **ქადაგება - მ-ქადაგი** (მ-ქადაგებელი). საყურადღებო მორფოლოგიურ-სემანტიკური შეხვედრაა: 𐎠𐎡𐎹𐎡𐎹 - 𐎠𐎡𐎹𐎡𐎹 [targem – m'-tharg'mana] **თარგმწა - მ-თარგმწელი**. ფორმა 𐎠𐎡𐎹𐎡𐎹 [m'tharg'mana] ასე დაიშლება: აქტივის მიმღეობის მაწარმოებელი **𐎠** პრეფიქსი + ბირი 𐎡𐎹 + აქტივის მიმღეობის მასუბსტანტივებელი **𐎠** სუფიქსი. ქართულის საწყისში **თარგმწა** არსებული **წ** თანხმოვანი აჩვენებს, რომ ეს ლექსიკური ერთეული ქართულში შემოვიდა უკვე გაარსებითებული ფორმით;

- K და C-ში II პირის ბრძანებითი გადმოცემულია წყვეტილის ყალიბით. დასახელებული ეწობრივი მოვლენების დეტალური აწალიზი სტატუების სახით გამოქვეყნდება მომდევნო გამოცემებში. წინამდებარე სტატიაში განხილულია ინსტრუმენტალისისა და ინესივის სინკრეტიზმი ბერძნულ და სირიულ ეწებში და მათი ფუნქციური გადაფარვა ქართულში.

2. კვლევის შედეგები და აწალიზი. სირიულ ეწაში წინდებული **-ა** პოლიფუნქციურია და ერთდროულად ასრულებს როგორც ლოკალურ, ისე ინსტრუმენტალისის ფუნქციას (Акопян 2010, 49). იგი გამოიყენება **ინესივის** სემანტიკის გამოსახტად და, ასევე, **მოქმედების საშუალების აწ იარადის** აღსანიშნად. მაგალიტად:

(3a) 𐎠𐎡𐎹

ბ'-edhta

PREP.INESS-church

დ. იობიძე

‘ეკლესიაში’

(3b) **ḥayta**

b^e-bhayta

PREP.INESS-house

‘სახლში’

(3c) **ḥana**

b^e-hana

bhayta

PREP.INESS-DEM.M.SG

house

‘ამ სახლში’

(3d) **dhitta**

ba-m^edhitta

PREP.INESS-city

‘ქალაქში’

(3e) **dhitta** **hadhe** **ith** **aph** **eddatha**

ba-m^edhitta

hadhe

ith

aph

eddatha

rawr^ebhatha

PREP.INESS-city

DEM.F.SG

EXST

also

church.PL

big.PL

‘ამ ქალაქში ასევე არის დიდი ეკლესიები.’

(3f) **kh^ethabha** **saggi** **shappira** **hana** **it**

ba-kh^ethabha

saggi

shappira

hana

it

PREP.INESS-book

very

beautiful

DEM.M.SG

EXST

gg^eratha

arrikhatha

Dhabbahatha

ruhane

letter.PL

long.PL

REL.father.PL

spiritual.PL

suryaye

Syrian.PL

‘ამ ძალიან ლამაზ წიგნში არის სირიელი სულიერი მამების გრძელი წერილები.’

ნაჩვენებ თითოეულ ფორმასა თუ კონსტრუქციაში წინდებული -**a** ასრულებს ინესივის ფუნქციას, რაც ნათლად ჩანს მის ქართულ შესატყვისებში. სხვა კონსტრუქციებში -**a** წინდებულს შესაძლოა განსხვავებული ფუნქცია დაეკისროს, მაგრამ აქ ნაჩვენებ ნიმუშებში ინესივი -**a** წინდებულის აბსოლუტური ფუნქციაა და მისი ჩანაცვლება სხვა ფუნქციით

სემანტიკას აზარალებს. ასეთ ნიმუშებში ინსტრუმენტალის ფუნქციურად ვერ ჩაენაცვლება ინესივს.

-ა წინდებულის მეორე ფუნქციაა ინსტრუმენტალისი (Акопян 2010, 49). სახელი, რომელსაც -ა წინდებული მიერთვის, გამოხატავს მოქმედების საშუალებას, ან, ზოგადად, შესაძლებლობას, რომლითაც, რაღაც შედეგი გამომდინარეობს. მაგალითად:

(4a) ነፍሱ ክፍሉ ነፍሱ

ena	khathebh	na	b ^e -kanya
1SG	write.PTCP.M.SG	1SG	PREP.INSTR-pen

‘მე ვწერ კალმით.’

(4b) ቤተሰብ ልጅ

b ^e -halen	talmidhe
PREP.INSTR-DEM.PL	disciple.PL

‘ამ მოწაფეებით’

ამ და მსგავს შემთხვევებში, -ა წინდებულის ინსტრუმენტალისი მისი აბსოლუტური ფუნქციაა და მისი ჩანაცვლება, სემანტიკის დარღვევის გარეშე, შეუძლებელია.

სირიული -ა ელემენტის ბერძნული ეკვივალენტია ἐν წინდებული, რომელსაც იგივე ფუნქციები უდასტურდება, რაც აქვს სირიულ -ა ელემენტს (Дворецкий 1958, 530). ἐν წინდებული ყოველთვის იხმარება დატივში დასმული სახელის წინ და შეუძლია გამოხატოს როგორც ინესივი, ისე ინსტრუმენტალისი. მაგალითად:

(5a) καὶ σὺ Βηθλεέμ, γῆ Ἰοὺδα, οὐδὰμὲν ἐλᾱχίστη εἰ ἐν τοῖς ἡγεμόσιν Ἰοὺδα (Ματθ. 2,6)

kaí	sy	Vithleém,	gí	Ioúda,	oudamós
and	2SG	Bethlehem	land	Judah.GEN	NEG.at.all
elachísti	eí	en	toís	igemósín	
small.SUP.F.SG	be.2SG	PREP.INESS	ART.DAT.PL	ruler.DAT.PL	

Ioúda
Judah.GEN

დ. იობიძე

‘და შენ, ბეთლემ, ქუეყანად ეგე იუდაისი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაისთა.’ (HIK)⁴

(5b) καθίσθαι ἐν τῇ θάλασσῃ (მრკ. 4,1)

kathísthai	en	tí	thalássi
sit.INF.MID	PREP.INESS	ART.DAT.F.SG	sea.DAT.F.SN

‘და დაჯდა იგი ნავსა მას ზღუასა შინა.’ (HIK)⁵

(5c) λέγω ὑμῖν ὅτι οὐτὼ χάρᾰ ἔσται ἐν τῷ οὐρανῷ ἐπὶ ἀμαρτανῷ μετανοοῦντι (Λουκ. 15,7)

légo	ymín	óti	oúto	chará	éstai
say.PRS.1SG	2PL.DAT	CONJ	thus	joy.NOM.F.SG	be.FUT.3SG
en	tó	ouranó	epí		
PREP.INESS	ART.DAT.M.SG	heaven.DAT.M.SG	PRE		
amartoló	metanooúnti				
sinner.DAT.M.SG	repent.PTCP.PRS.DAT.M.SG				

‘გეტყვ თქვენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილისა, რომელმან შეინანოს.’ (HIK)

დამოწმებულ ნიმუშებში **ἐν** წინდებულის ინესივის ფუნქციას ვერ ჩავანაცვლებთ ინსტრუმენტალისით. მაგალითად, სათქმელის სემანტიკა გაუმართავი იქნება ასეთი ინტერპრეტაციით: ‘არაფრით ხარო უმცირესი იუდას მთავრებით’; ან, კიდევ: ‘ნავში ჩაჯდა და ზღვით შევიდა.’

საინტერესოა, რომ გარკვეულ კონტექსტში **ინესივისა** და **ინსტრუმენტალისის** ფუნქციები იმდენად გადაჯაჭვულია, რომ შესაძლებელია ორივე სემანტიკური წაკითხვა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ შორის არსებულ მჭიდრო კონცეპტუალურ კავშირს. გარკვეულ კონსტრუქციაში ბერძნული **ἐν**, როგორც სირიული **-ܐ**, მოქმედებს **ინსტრუმენტალისის** ფუნქციითაც:

(6a) καὶ αὐτὸς προελεύσεται ἐν ὀνόματι τοῦ ἐν πνεύματι καὶ δυνάμει Ἰησοῦ (Λουκ. 1,17)

⁴ აქ და შემდეგშიც ქართული თარგმანი დამოწმებულია წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ოთხთავის ტექსტიდან (იმნაიშვილი 1979).

⁵ ქართული თარგმანი ზედმიწევნით ვერ ასახავს ორიგინალ ტექსტს, თუმცა **ἐν** წინდებულთან და მის ქართულ ეკვივალენტთან **შინა** მიმართებით, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

kaí	aftós	proeléfsetai	enópion	aftoú
and	he.NOM	PRE.go.FUT.3SG	before	he.GEN
en	pnévmati	kaí	dynámei	Iliou
PREP.INSTR	spirit.DAT	and	power.DAT	Elijah.GEN

‘და იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისსა სულითა და ძალითა ელიადსითა.’ (HIK)

(6b) ὅσα ἂν αἰτήσητε τὸν πατέρα ἐν τῷ ὀνόματί μου... (Ἰωάν. 16,23)

ósa	án	aitísite	tón	patéra
what.PL	REL	ask.AOR.2PL	ART.ACC	father.ACC
en	tó	onómatí	mou...	
PREP.INSTR	ART.DAT	name.DAT	my.GEN	

‘რაოდენიცა-რად სთხოოთ მამასა სახელითა ჩემითა...’ (HIK)

ბოლო ორ და მათ მსგავს გარემოებით კონსტრუქციებში, ნორმის მიხედვით, აუცილებელია ხაზგასმული ფორმები ქართულში გადმოვიდეს ინსტრუმენტალისით, ანუ მოქმედებითი ბრუნვის ფორმით. რა თქმა უნდა, ხელოვნურად შესაძლებელია ასეთი ფორმებიც: ‘ელიას სულში და ძალაში’; ‘ჩემს სახელში’; თუმცა ზემოთ დამოწმებული ფორმები სემანტიკურად უფრო გამჭვირვალე და ბუნებრივია. რაც შეეხება ორიგინალ ბერძნულ ტექსტს, მასში გამოყენებული ἐν წინდებულის ინსტრუმენტალისის ფუნქცია, ზოგადად, თანაბარუფლებიანია ამავე წინდებულის ინესივის ფუნქციასთან, ხოლო ამ კონკრეტულ კონსტრუქციებში, ტექსტის სემანტიკიდან გამომდინარე, უპირატესობა ინსტრუმენტალისს ენიჭება.

განხილულ ენობრივ ფაქტებში გამოვლინდა კაზუალურ-სემანტიკურ სინკრეტიზმი: სირიულ -a და ბერძნული ἐν წინდებულები ფორმალური ერთგვაროვნების პირობებში ფუნქციურად გამოხატავენ ორ სემანტიკურ მნიშვნელობას – ინესივს და ინსტრუმენტალისს, მოქმედებენ ეკვივალენტური კაზუალურ-სემანტიკური ფუნქციებით.

განხილული სირიულ-ბერძნული ტექსტების ქართულმა შესატყვისებმა აჩვენა, რომ დასახელებული წინდებულების ინესივი და ინსტრუმენტალისი სემანტიკურად ასახულია ქართულ ენაშიც, თუმცა ფორმალურად აქ არ გვაქვს ორი სემანტიკურად ეკვივალენტური ფორმანტი, როგორც ეს არის ბერძნულსა და სირიულში; კერძოდ, სირიულსა და ბერძნულში ეს ორი ფუნქცია ერთ ფორმალურ ელემენტშია გაერთიანებული. სირიული -a და ბერძნული ἐν წინდებულები პოლიფუნქციურია და კონტექსტის მიხედვით

დ. იობიძე

გამოხატავენ როგორც ინესივს, ისე ინსტრუმენტალისს. ამის საპირისპიროდ, ქართულში ეს სემანტიკური ოპოზიცია **მკაცრად არის დიფერენცირებული**: ინესივი გადმოიცემა **-ში თანდებულით**, ხოლო ინსტრუმენტალისი – **მოქმედებითი ბრუნვის ფორმით**.

განსახილველ წინდებულებთან მიმართებით, სირიულსა და ბერძნულში ფორმალური ერთგავროვნების ფონზე გვაქვს ფუნქციური სახეობები (ინესივი და ინსტრუმენტალისი), ქართულში არ მოქმედებს ფორმალური ერთგავროვნების პრინციპი, რომელიც დამახასიათებელია ბერძნული და სირიული ფორმანტებისათვის. თუ ბერძნულსა და სირიულში გვაქვს ერთი ფორმა და ორი ფუნქცია, ქართულში თითოეული ფუნქციისთვის (ინესივი / ინსტრუმენტალისი) **ცალკეული მორფოლოგიური საშუალებაა** რეალიზებული.

მიუხედავად ფორმალური განსხვავებისა, ქართულშიც არსებობს შემთხვევები, როდესაც ინესივისა და ინსტრუმენტალისის ფორმები ურთიერთიანაცვლებადია სემანტიკის დარღვევის გარეშე (მაგალითად: 'მზეში ვთბები' და 'მზით ვთბები'). ეს მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად ფორმალური სხვაობისა, ქართული ენა სემანტიკურ დონეზე მაინც იზიარებს ბერძნული და სირიული ენების ფსიქოლინგვისტურ ტენდენციას. სინკრეტიზმის ერთ-ერთი საფუძველია მორფოსემანტიკური ეკონომიის პრინციპი: იმის ნაცვლად, რომ ენამ ყოველი სემანტიკური ნიუანსისთვის ცალკეული მორფემა შექმნას, იგი იყენებს ერთ ელემენტს იმ ფუნქციების გამოსახატად, რომლებსაც **საერთო სემანტიკური ბირთვი** აქვთ. სწორედ ეს პრინციპი მოქმედებს ბერძნულ და სირიულ ენებში.

როდესაც ბერძნული ტექსტი ინტერპრეტირების საშუალებას არ იძლევა, ქართულ თარგმანში უცილობლად გადმოვა **ἐν** წინდებულის ის ფუნქცია, რაც მას აქვს ორიგინალში. მაგალითად, წინადადებაში: **‘καθῆσθαι ἐν τῇ θάλασσῃ’** (Μάρκ. 4,1) – გვაქვს **ინესივის** სემანტიკა. ტექსტი ინტერპრეტირების საშუალებას არ იძლევა და, შესაბამისად, ქართულ თარგმანშიც იგივე სემანტიკა უნდა აისახოს. აქ ვერ შემოვა **ინსტრუმენტალისი** და ტექსტი ამგვარად ვერ ითარგმნება: 'და დაჯდა იგი ნავსა მას **ზღვთ**'. ადეკვატური თარგმანია: 'და დაჯდა იგი ნავსა მას **ზღუასა შინა**'. ეს წინადადებაც არ იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას: **‘καὶ αὐτὸς προελεύσεται ἐν ὧπιοις αὐτοῦ ἐν πνεύματι καὶ δυνάμει’** Ἡλιοῦ (Λουκ. 1,17). აქ ბერძნულ **ἐν**-ს დაკისრებული აქვს **ინსტრუმენტალისის** ფუნქცია და იგი უსათუოდ უნდა გადავიდეს თარგმანში. ტექსტს ასე ვერ ვთარგმნით: 'და იგი თავადი განვიდეს წინაშე

მისა სულსა და ძალსა შინა ელიადსითა.’ მართებული თარგმანია: ‘და იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისა სულითა და ძალითა ელიადსითა’ (Λουκ. 1,17). ეს ტექსტები დეტალურად (მორფოლოგიური გლოსირებით) განვიხილეთ ზემოთ.

მსგავსი ვითარებაა სირიულთან მიმართებითაც. მაგალითად:

ܣܠܐ ܕܠܐ ܕܠܐ ܣܐ – უნდა ითარგმნოს **ინსტრუმენტალის** შინაარსით: ‘მე ვწერ კალმით.’ მიუღებელია: ‘მე ვწერ კალამში’;

ܐܡ ܕܠܐ ܕܠܐ ܐܠ ܕܠܐ ܐܠ ܕܠܐ – უნდა გადმოვიდეს ინესივის სემანტიკით: ‘ამ ქალაქში ასევე არის დიდი ეკლესიები.’ ვერ გადმოვა: ‘ამ ქალაქით ასევე არის დიდი ეკლესიები.’ ეს ტექსტებიც დეტალურად (გლოსირებით) განვიხილეთ ზემოთ.

(7) ܕܠܐ ܕܠܐ ܕܠܐ

m ^e dhitta	dh ^e -‘amrinan	ba-h
city.F.SG	REL-dwell.PRS.1PL	PREP.INESS-3SG.F

მართებული თარგმანია: ‘ქალაქი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ’. გაუმართლებელია ასეთი ვერსია: ‘ქალაქი, რომლითაც ჩვენ ვცხოვრობთ’.

არის შემთხვევები, როდესაც ტექსტი იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას და შესაძლებელია იგი გადმოვიდეს როგორც **ინესივის**, ისე **ინსტრუმენტალის** სემანტიკით. მაგალითად, ქვემოთ დამოწმებული წინადადებები შეიძლება ორივე შინაარსით გადმოვიდეს:

(8a) ἅλλ’ ἐρχεται ὥρα, καὶ νῦν ἐστὶν, ὅτε οἱ ἀληθινοὶ προσκυντοῦσι
προσκυνήσουσι τῷ πατρὶ **ἐν** πνεύματι καὶ ἀληθείᾳ (Ἰωάν. 4,23)

all’	érchetai	óra,	kaí	nýn
but	come.PRS.MP.3SG	hour.NOM.SG	and	now
estin,		óte	oi	
be.PRS.IND.3SG		when	ART.NOM.PL	
alithinoí		proskynitaí		
true.NOM.PL		worshipper.NOM.PL		
proskynísousi	tó	patri		
worship.FUT.ACT.3PL	ART.DAT.SG	father.DAT.SG		
en	pnévmati	kaí	alitheía	
PREP.INSTR/INESS	spirit.DAT.SG	and	truth.DAT.SG	

დ. იობიძე

‘არამედ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი თაყუანის-
მცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულთა და ჭეშმარიტებთა
(HIK) /სულში და ჭეშმარიტებაში.’

(8b) ἔλαβον οὖν τὸ σῶμα τοῦ Ἰησοῦ καὶ ἔδησαν αὐτὸ ἐν ὀθονίοις. (Ἰωάν. 19, 40)

élavon	oún	tó	sóma
take.AOR.ACT.3PL	therefore	ART.ACC.SG	body.ACC.SG
toú	Iisoú	kaí	édisan
ART.GEN.SG	Jesus.GEN.SG	and	bind.AOR.ACT.3PL
aftó	en	othoníois	
3SG.ACC	PREP.INSTR/INESS	linen-cloth.DAT.PL	

‘და მოიღეს გუამი იესუმსი და შეგრაგნეს იგი ტილოებთა (HIK)
/ტილოებში.’

მსგავსი ვითარება გვაქვს ქართულ-სირიულ მიმართებაშიც. როდესაც
სირიული წინადადება იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას, ქართულს
შეუძლია ეს წინადადება გადმოსცეს სირიული -ა წინდებულისათვის
ნიშანდობლივი ორივე სემანტიკით. მაგალითად:

(9a) ܐܬܬ ܐܝܬܝܢ ܐܬܬ

att	azel-att	ba-shʿrara
2SG.M	go.PTCP.M.SG-2SG.M	PREP.INSTR/INESS-truth.DEF

‘შენ დადიხარ ჭეშმარიტებთ/ჭეშმარიტებაში.’

(9b) ܐܢܐ ܫܗܝܢ ܢܐ

ena	shahen-na	bhʿ-shemsha
1SG	warm.PTCP.M.SG-1SG	PREP.INSTR/INESS-sun.DEF

‘მზეში/მზით ვთბები.’

მსგავსი ჩანაცვლებები მრავლადაა. მაგალითად, ქართულში გვაქვს ასეთი
გამოთქმები:

(10a) ‘ღმერთთ არის ჩვენი ხსნა.’ = ‘ღმერთში არის ჩვენი ხსნა.’;

(10b) ‘გაიგონე მაგ ყურთ.’ = ‘გაიგონე მაგ ყურში.’

(10c) ‘გაზეთთ გავეცანი ახალ ინფორმაციას’ = ‘გაზეთში გავეცანი ახალ
ინფორმაციას.’

(10d) 'სარკით შეამწნია უკან მომავალი მანქანა' = 'სარკეში შეამწნია უკან მომავალი მანქანა.' და ა. შ.

წარმოდგენილი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბერძნულ-სირიული ფუნქციური სინკრეტიზმი ქართულ ენაში აისახება არა ფორმალური ერთგვაროვნებით, არამედ **ფუნქციურ-სემანტიკური ეკვივალენტობით და საერთო ფსიქოლინგვისტური ტენდენციებით**. ამ ასახვის ორო ძირითადი თავისებურებაა:

- **ფორმალური დიფერენცირება:** სირიული -ა და ბერძნული ზნ წინდებულებისგან განსხვავებით, რომლებიც ერთ ფორმაში აერთიანებენ ინესივისა და ინსტრუმენტალისის ფუნქციებს, ქართულში ეს ოპოზიცია მკაცრად არის გამიჯნული: ინესივი გადმოიცემა -ში **თანდებულებით**, ხოლო ინსტრუმენტალისი - მოქმედებითი ბრუნვის ფორმით;

- **სემანტიკური იზომორფიზმი:** მიუხედავად მორფოლოგიური (ფორმალური) სხვაობისა, ქართული ენა სრულად ასახავს იმავე სემანტიკას, რასაც ბერძნული და სირიული. ეს გარემოება მიუთითებს, რომ მიუხედავად სხვადასხვა სტრუქტურულ კლასში განთავსებისა, ქართული, ბერძნული და სირიული ენების გრამატიკულ სისტემებში არსებობს სემანტიკური იზომორფიზმის ელემენტები.

1.დასკვნები. ქართული ენა ისე უნაცვლებს ერთმანეთს **ინესივის** ფუნქციის -ში **თანდებულებიან** და **ინსტრუმენტალისის** ფუნქციის **მოქმედებითი ბრუნვის** ფორმებს, რომ სემანტიკას არ აზარალებს. ბერძნულსა და სირიულში ანალოგიური პროცესი ერთ მორფოლოგიურ ელემენტში რეალიზდება.

ქართული ენა ენობრივი განვითარების იმ ზოგად ტენდენციას მიჰყვება, რომლის მიხედვით ინესივის გამომხატველი ელემენტები ბერძნულსა და სირიულში ინსტრუმენტალისის ფუნქციასაც ითავსებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულში ეს მოვლენა არ ვლინდება ფორმალურ-მორფოლოგიურ დონეზე იდენტური ელემენტების სახით, იგი სემანტიკურ-ფუნქციურ დონეზე აშკარად არის ჩართული აღნიშნულ ტიპოლოგიურ პროცესში.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართულში, ბერძნულსა და სირიულში ინესივისა და ინსტრუმენტალისის ფუნქციური ურთიერთმიმართება ასიმეტრიული

დ. იობიძე

ხასიათისაა: იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია წინადადების გადმოცემა ინესივის სემანტიკით, იგი ხშირად ადვილად გადადის ინსტრუმენტალისის ფორმაშიც, მაშინ როდესაც ინსტრუმენტალისის წამყვანი სემანტიკური მნიშვნელობის პირობებში ინესივი ვერ ახერხებს მის სრულფასოვან ფუნქციურ ჩანაცვლებას.

წარმოდგენილი კვლევა ადასტურებს ენათმეცნიერებაში გავრცელებულ დებულებას, რომლის მიხედვით, ენობრივ სისტემებს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს და ისინი ერთიანი, უნივერსალური მოდელის კონკრეტულ რეალიზაციებს წარმოადგენენ (გამყრელიძე 2008, 400). ამ თვალსაზრისით ქართული, ბერძნული და სირიული ენობრივი სისტემები აღნიშნული ტიპოლოგიური კანონზომიერების განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთთანაზომიერ გამოვლინებებს წარმოადგენენ.

ნაშრომში განხილულმა მასალამ ასევე დაადასტურა, რომ განსხვავებული სტრუქტურული ნიშნებით აღჭურვილ ენობრივ სისტემებს არ ახასიათებს აბსოლუტური ალომორფიზმი; პირიქით, მათ გრამატიკულ სტრუქტურებში იზომორფიზმის ელემენტები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ინსტრუმენტალისისა და ინესივის ფუნქციური სინკრეტიზმის ტიპოლოგიური პარალელების არსებობას ქართულში, ბერძნულსა და სირიულში.

მიღებული შედეგები წარმოადგენს ახალ ტიპოლოგიურ მონაცემებს, რომლებიც ავსებს ამ მიმართულებით არსებულ კვლევებს და პასუხობს ზოგადი ენათმეცნიერების ინტერესებს.

დასახელებული ენები

ავარული (*Avar*): ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) ენათა ოჯახი.

დიდოური (*Dido*): ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) ენათა ოჯახი.

კრიზული (*Kryz*): ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) ენათა ოჯახი, ლეზგიური ჯგუფი.

უდური (უდიური) (Udi): ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) ენათა ოჯახი, ლეზგიური ჯგუფი.

ორია (*Odia (Oriya)*): ინდოევროპული ენათა ოჯახი, ინდო-არიული შტო.

კუმაუნი (*Kumauni*): ინდოევროპული ენათა ოჯახი, ინდო-არიული შტო.

კულუი (*Kului*): ინდოევროპული ენათა ოჯახი, ინდო-არიული შტო.

ლიეტუვეური (*Lithuanian*): ინდოევროპული ენათა ოჯახი, ბალტიური შტო.

მალაგასიური (*Malagasy*): ავსტრონეზიული ენათა ოჯახი, მალაიო-პოლინეზიური ჯგუფი.

ჩინური (დიალექტები) (*Chinese (dialects)*): სინო-ტიბეტური ენათა ოჯახი.

ამდო-ტიბეტური (*Amdo Tibetan*): სინო-ტიბეტური ენათა ოჯახი, ტიბეტური ქვეგანშტო.

შოშონე (*Shoshone*): იუტო-აცტეკური ენათა ოჯახი.

პიპილი (*Pipil*): იუტო-აცტეკური ენათა ოჯახი.

კაჰიტური (იაკი, მაიო, ტეჰუეკო) (*Cahita (Tehueco, Yaqui, Mayo)*): იუტო-აცტეკური ენათა ოჯახი.

იუკატეკური მაია (*Yucatec Maya*): მაიას ენათა ოჯახი.

მონღოლური ენები (*Mongolic languages*): მონღოლური ენათა ოჯახი.

ბასკური (*Basque*): ენობრივი იზოლატი; არ მიეკუთვნება არცერთ ცნობილ ენობრივ ოჯახს (Dalby 2004; Álvarez González 2023).

მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიების გლოსები

1 – პირველი პირი (First person)

2 – მეორე პირი (Second person)

3 – მესამე პირი (Third person)

ACC – ბრალდებითი (Accusative)

ACT – აქტიური გვარი (Active Voice)

ART – არტიკლი (Article)

AOR – აორისტი (Aorist)

დ. იობიძე

CONJ – კავშირი (Conjunction)
DAT – მიცემითი (Dative)
DEF – ემფატიკური სტატუსი სირიულში (Definite)
DEM – ჩვენებითი ნაცვალსახელი (Demonstrative)
ERG – ერგატივი (Ergative)
GEN – ნათესაობითი (Genitive)
IND – თხრობითი კილო (Indicative)
INESS – სივრცეში სტატიკური ყოფნა (Inessive)
INF – ინფინიტივი (Infinitive)
INSTR – ინსტრუმენტალისი (Instrumental)
F – მდედრობით სქესი (Feminine)
FUT – მომავალი დრო (Future Tense)
M – მამრობითი სქესი (Masculine)
MID – საშუალო გვარი (Middle Voice)
MP – საშუალო/პასიური გვარი (Middle/Passive)
NEG – უარყოფითი ნაწილაკი (Negation)
NOM – სახელობითი (Nominative)
SG – მხოლოდობითი რიცხვი (Singular)
SUP – აღმატებითი ხარისხი (Superlative Degree)
PTCP – მიმღეობა (Participle)
PL – მრავლობითი რიცხვი (Plural)
PRE – ზმნისწინი (Preverb)
PREP – წინდებული (Preposition)
PRS – აწმყო დრო (Present)
REL – მიმართებითი ნაცვალსახელი (Relative)

ლიტერატურა

არდოტელი, ნოდარ. 2007. დიდოური ენა (აღწერითი ანალიზი და ტექსტები). თბილისი: უნივერსალი.
გამყრელიძე, თამაზ, ზაზა კიკნაძე, ინგა შადრური და ნანა შენგელია. 2008.

- თეორიული ენათმეცნიერების კურსი (მეორე გამოცემა). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- რუხაძე, ნინო. 2009. „პოლიფუნქციური ერგატივი უდიურში“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში (იბერიულ-კავკასიური და მსოფლიოს სხვა ენები)“ მასალები. თბილისი. 47-48.
- ფანჩიძე, ვლადიმერ. 1974. უდურის გრამატიკული ანალიზი. თბილისი: მეცნიერება.
- ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. 1979. გამომც. ივანე იმნაიშვილი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჩიქობავა, არნოლდ. 1943. „პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაზბე. ტ. IV. №1. თბილისი. 91-98.
- ჩიქობავა, არნოლდ. 1948. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. ტ. I. თბილისი.
- Álvarez González, Albert. 2023. “The Origin of Instrumental Postpositions in Cahita (Uto-Aztecan): A new account. *Cuadernos de Lingüística de El Colegio de México* 10, e270: 1-50.
- Baerman, Matthew. 2009. “Case Syncretism”. In *The Oxford Handbook of Case*, edited by Andrej Malchukov and Andrew Spencer, 219-230. Oxford: Oxford University Press (Preprint PDF, 1-12). file:///D:/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/Case_syncretism_The_Oxford_Handbook_of_C.pdf.
- Creissels, Denis. 2008. “Spatial Cases”. In *The Oxford Handbook of Case*, edited by Andrej Malchukov and Andrew Spencer. 609-625. Oxford University Press (The pre-final version, 1-14). [file:///C:/Users/Lenovo/Downloads/Creissels-spatial_cases%20\(1\).pdf](file:///C:/Users/Lenovo/Downloads/Creissels-spatial_cases%20(1).pdf).

დ. ომბიძე

- Ludovico, Franco and Maria Rita Manzini. 2017. “Instrumental Prepositions and Case: Contexts of Occurrence and Alternations with Datives”. *Glossa: A Journal of General Linguistics* 2 (1): 1-37.
- Haugen, Jason D. 2008. “Comitative and instrumental postpositions in Uto-Aztecan”. In Ortiz Ciscomani, Rosa María (ed.), *Memorias del IX Encuentro Internacional de Lingüística en el Noroeste*, vol. 2, 191-210. Hermosillo: Universidad de Sonora (PDF version, 1-21). file:///D:/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/Comitative_and_Instrumental_Postposition.pdf
- Lehmann, Christian and Yong-Min Shin. 2005. “A typological study of instrumental and comitative relations”. *Typological studies in participation*. Edited by Christian Lehmann. 9-110.
- Stasiūnaitė, Indrė. 2016. “The Semantics of Spatial Prepositions: The Main Trends of Research”. *Taikomoji kalbotyra* 8 (2016): 188–212.
- Zhou, Chenlei. 2022. “From ‘Two’ to a Comitative-Instrumental Case Marker: A Regional Innovation in the Gansu-Qinghai Linguistic Area”. *Language and Linguistics* 23, 2 (2022): 349-369.
- Dalby, Andrew. 2004. *DICTIONARY OF LANGUAGES*. London: A & C Black.
- Акопян, Армен. 2010. *Классический сирийский язык*. Москва.

Language and linguistics

Syncretism of the Instrumental and Inessive in a Single Form in Ancient Greek and Classical Syriac and Their Functional Overlap in Georgian: A Typological-Comparative Analysis

David Iobidze

davit.iobidze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI:<https://doi.org/10.52340/atsu.2026.1.27.03>

This article examines one issue in typological studies of syncretism, namely the functional overlap of the instrumental and the inessive within a single morphological unit. The study is based on typological and morphosemantic analysis and data provided from Georgian, Ancient Greek, and Classical Syriac. It demonstrates that Syriac -ܐ [be] and Greek ἐν [en] syncretically combine instrumental and inessive functions within a single formal element, whereas in Georgian these functions are formally differentiated by the postposition -ში (-shi) and the instrumental case; nevertheless, in certain contexts semantic interchangeability between them can still be observed. The comparative analysis of the data from the languages under consideration reveals the typological regularity of the functional overlap between the instrumental and inessive, which is systematically realized in languages with different structural types (Georgian, Ancient Greek, and Classical Syriac).

Keywords: *typology, syncretism, instrumentalism, inessive, Georgian, ancient Greek, classical Syriac languages*

1. Introduction: 1.1. Theoretical Background. Syncretism, understood as the functional overlap of grammatical categories, is one of the central topics in contemporary linguistic typology. It reflects the semantic interconnectedness of grammatical categories and the dynamic nature of linguistic systems. In many languages, a single morphological unit may simultaneously encode multiple grammatical or semantic functions.

Typological research demonstrates that syncretism does not necessarily involve entire paradigms but often affects specific morphemes or formatives. At the morphemic level, it emerges when one element participates in both formal morphological encoding and functional-semantic structuring. Such patterns

are typically motivated by principles of morphosemantic economy rather than accidental coincidence (Creissels 2008).

The specialist literature extensively discusses the syncretism of the instrumental with other spatial cases, including ablative–instrumental, ergative–instrumental, and locative–instrumental overlaps (Baerman 2009; Creissels 2008). Cross-linguistic data show that the instrumental frequently converges with locative functions. The semantic convergence of the instrumental and the inessive is often explained through part–whole relations: the instrument is conceptualized as an internal participant of the event, similarly to how the inner locative space functions as the semantic frame of the situation (Franco & Manzini 2017).

Evidence from various linguistic areas confirms this tendency. In Lithuanian, the instrumental expresses locative, temporal, causal, and purposive relations (Stasiūnaitė 2016). English *with* exemplifies comitative–instrumental syncretism. In the Gansu–Qinghai linguistic area, a marker derived from the numeral ‘two’ functions as both instrumental and comitative (Zhou 2022). Similar developments are attested in Uto-Aztecan and Cahitan languages, where instrumental markers originate from locative or possessive constructions (Haugen 2008; Álvarez González 2023).

Overall, cross-linguistic evidence indicates that the instrumental and the inessive are conceptually compatible categories. Their syncretism reflects a shared semantic core focused on internal participants of events and represents a natural outcome of conceptual and morphosemantic evolution.

1.2. Typological Features of the Languages under Study. Despite belonging to different typological classes, Georgian, Greek, and Syriac exhibit a number of structural and functional parallels. Among them are shared categories of definiteness, similarities in the functional distribution of prepositions and postpositions, parallel mechanisms of passive differentiation, comparable verbal systems, and analogous derivational and morphological patterns.

In Greek and Syriac, the same formal element may express both inessive and instrumental meanings, whereas in Georgian these functions are morphologically differentiated but semantically equivalent. These parallels demonstrate that typologically distinct languages may display convergent functional and semantic patterns.

The present study focuses specifically on the syncretism of the instrumental and the inessive in Greek and Syriac and their functional correspondence in Georgian.

2. Research Results and Discussion. The analysis of Ancient Greek, Classical Syriac, and Georgian data reveals that the relationship between the instrumental and the inessive cannot be reduced to purely formal coincidence. Instead,

it reflects a deeper functional and conceptual affinity between spatial and instrumental meanings.

In Classical Syriac, the preposition **-ܐ [be]** exhibits a high degree of polyfunctionality, encoding both inessive and instrumental relations. Similarly, in Ancient Greek, the preposition **ἐν [en]**, combined with the dative case, frequently extends its basic locative meaning to instrumental contexts. These facts indicate that the instrumental meaning is not an isolated grammatical category but emerges from spatial semantics through gradual functional extension.

The Georgian data provide a particularly instructive contrast. Unlike Greek and Syriac, Georgian does not display formal syncretism between the inessive and the instrumental. The inessive is expressed by the postposition **-ში [xi]**, while the instrumental is realized through the instrumental case. However, textual analysis shows that these formally distinct markers may functionally overlap in specific contexts. In many cases, a construction expressed by the inessive can be reformulated by means of the instrumental without significant semantic change. This suggests that Georgian participates in the same typological tendency as Greek and Syriac, albeit at the semantic rather than morphological level.

From a typological perspective, this phenomenon supports the hypothesis that instrumental meanings are typologically embedded within the domain of spatial relations. The instrument is conceptualized as an internal participant in the event structure, comparable to the way in which the inessive conceptualizes an entity located within a spatial frame. Consequently, the transition from locative to instrumental meaning can be interpreted as a natural semantic shift rather than an accidental grammatical development.

Furthermore, the observed patterns can be interpreted within a diachronic framework. In many languages, spatial markers undergo semantic expansion and acquire non-spatial functions, including instrumental, comitative, and causal meanings. The Greek and Syriac data exemplify such developments, while Georgian illustrates a different strategy: instead of formal syncretism, it employs functional equivalence across distinct morphological forms. This contrast highlights the diversity of grammaticalization paths within typologically different languages.

The results also have implications for the theory of morphosemantic economy. The convergence of inessive and instrumental functions in Greek and Syriac demonstrates a tendency toward the multifunctionality of a single morpheme, whereas Georgian maintains formal differentiation while preserving semantic compatibility. Both strategies reflect universal principles of linguistic organization: the pressure toward economy on the one hand and the need for structural clarity on the other.

Finally, the data suggest that the syncretism of the instrumental and the inessive should be interpreted not merely as a morphological phenomenon but as a manifestation of broader cognitive and conceptual mechanisms. The shared semantic core of these categories indicates that languages tend to model event participants and spatial relations through analogous conceptual schemas. Thus, the instrumental-inessive relationship represents a significant typological pattern that transcends individual language systems and contributes to our understanding of universal principles of grammatical structuring.

3. Conclusions. The Georgian language alternates between forms expressing the inessive function marked by the postposition **-xi** and forms of the instrumental expressed by the instrumental case, in such a way that semantic content is not affected. In Greek and Syriac, an analogous process is realized within a single morphological element.

Georgian follows a general tendency in linguistic development, according to which elements expressing the inessive in Greek and Syriac also assume the function of the instrumental. Although in Georgian this phenomenon is not manifested at the formal-morphological level through identical elements, it is clearly involved in the same typological process at the semantic-functional level.

The study has shown that in Georgian, Greek, and Syriac the functional relationship between the inessive and the instrumental is asymmetrical: in cases where sentence meaning can be expressed with inessive semantics, it often easily shifts to an instrumental form, whereas under conditions in which the instrumental carries the dominant semantic meaning, the inessive fails to fully replace it functionally.

The present study confirms a widely accepted proposition in linguistics, according to which no fundamental differences exist among linguistic systems, and they represent specific realizations of a unified universal model (Gamkrelidze 2008, 400). From this perspective, the Georgian, Greek, and Syriac linguistic systems represent different, yet mutually commensurable manifestations of the typological regularity in question.

The material analyzed in this study has also demonstrated that linguistic systems characterized by different structural features do not exhibit absolute allomorphy; rather, elements of isomorphism occupy a significant place in their grammatical structures. It is precisely this circumstance that underlies the existence of typological parallels of functional syncretism between the instrumental and the inessive in Georgian, Greek, and Syriac.

The results obtained provide new typological data that enrich existing research in this field and address the interests of general linguistics.